

უეცრად შეწყვეტილი ჯირითი

მამის მზრუნველობა და სიყვარული სულ სჭირდებათ ადამიანებს. ამ მხრივ ძალიან გაუმართლა თეკლა ბატონიშვილს. ერთი რომ მამა დიდ მზრუნველობას იჩენს მასზე და ლოცვასა და ტკბილეულს არ აკლებს, მეორეც უყურადღებოდ არ ტოვებს მის მიღწევებს კალიგრაფიასა და სიღრმისეული აზრების ჩამოყალიბებაში. ვფიქრობ ყველა მამისათვის მისაბამი მაგალითი უნდა იყოს ერეკლე მეფის საქციელი.

თუ გავიხსენებთ როგორი მოუცლელი იყო მეფე ერეკლე, რამდენ შინაურ და გარეულ მტერს უმკლავდებოდა ერთდროულად, უფრო დასაფასებელი გახდება მისი მზრუნველობა. ის როდესაც თეკლა ბატონიშვილის წერილს კითხულობდა შესაძლოა მტრის საწინააღმდეგოდ გაშლილ საბრძოლო ბანაკში იმყოფებოდა, შემფოთებულსა და საფიქრალში ჩავარდნილს კი წერილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ არ ავიწყდება არც შვილის ღირსებას გაუსვას ხაზი და აღფრთოვანებული დარჩეს მისი დიდებული კალიგრაფიით. თეკლა ბატონიშვილის კალიგრაფიას ის გულდასმით აღწერს, ისე რომ ჩვენც ნათელი წარმოდგენა გვექმნება მის შესახებ: „მაგრამ უცხოვს ოსტატობით და მდივანწიგნით იყო შენი გარჯილობა, უფრო რომ არაბულს ხელს გემსგავსებინა“. მეფე აფასებს შვილის მცდელობას ლამაზად დაეწერა. ასევე არ სრცხვენია იმის აღიარება, რომ შვილს იმდენად ღრმა აზრები აქვს გამოთქმული, უჭირს გაგება. ეს ჩემი აზრით მეფის უშუალობაზე მეტყველებს. ასევე ვიგებთ, რომ თეკლა ბატონიშვილის სიღრმისეულად მსჯელობის უნარი გააჩნდა. ღრმა აზრები კი ჩემი აზრით დიდებული სულის პატრონებს შეიძლება ქონდეთ. მათ ვინც ყველაფერზე მრავალგზის ფიქრობენ და კარგად განათლებულებიც არიან.

უშუალობაზე მეტყველებს მეფის მიმართვის ფორმაც: „თეკლა ბიჭსა“. დიდი სითბო იღვრება ამ მიმართვიდან. ასევე ამ მიმართვით ჩვენთვისაც რაღაცნაირად იხატება თეკლა ბატონიშვილის პორტრეტი. ჩვენ წარმოვიდგენთ ვაჟკაცური ხასიათის ქალს. ეს ერთი თითქოსდა პატარა წერილი იმდენი დაფარული თუ ღია ინფორმაციის მატარებელია, მრავალგზის შეიძლება მსჯელობა. მკითხველს კი გადაუშლის თვალწინ მეფისა და მისი ქალიშვილის ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს.

ერეკლე ბატონიშვილი იგივე „პატარა კახი“, მტრის თავზარდამცემი და დაუმარცხებელი, ნაკლებად თუ აფიქრებინებდა ადამიანებს ამ წერილის წაკითხვის გარეშე თუ როგორი სათუთი სულის პატრონია და იმ მკაცრი მზრუნველის მიღმა როგორი თბილი და კეთილი ადამიანი იმალება.

მე ვხედავ როგორ სხედან მამა-შვილი სასახლის აივანზე და რაღაცაზე დაბეჯითებით მსჯელობენ. მაგიდაზე დევს ტკბილეულით სავსე ვაზა, რომელიც ასე უყვარს თეკლა ბატონიშვილს. უეცრად მეფე დგება და ბოლთის ცემას იწყებს, ალბათ საგონებელში ჩააგდო შვილის მიერ გამოთქმულმა აზრმა. ცოტა ხნის შემდეგ ჩერდება, მხარზე არტყავს შვილს ხელს და იცინის. არ ვიცი რაზე შეიძლება მსჯელობდნენ, მაგრამ რაც არ უნდა იყოს ღირსეული იქნება. ამის შემდეგ მამა თავის ქალიშვილს საჯირითოდ იწვევს. მხრებში გაშლილი,

შავნაწნავებ ჩამოშლილი ქალიშვილი თავაწეული ზის არაბულ ცხენზე და მისი მზერა თითქოს ეჭვისთვალთ უყურებს ყველაფერს. ჩაუყვანენ ჭალას, გადაჰკრა მათრახი ცხენს თეკლა ბატონიშვილმა და ამით გამოიწვია მეფე-მამა, თან სიცილით რაღაც გადასძახა. მეფემაც არ დააყოვნა, მრავალგზის ნაწრთობმა ჯირითში დაადევნა თავისი ცხენიც, ავარდა მტვერი, ერთხანს მისდევდნენ ერთმანეთს, მეფე ყოყმანობს, აყოვნებს გასწრებას. ამ დროს კიდევ ერთი მხედარი გამოჩნდება და მტვრის ზოლი მიიკლავნება გველივით. მეფის გაწაფულ სმენას მისწვდება ფლოქვების ხმა და ძლივს შეაჩერებს დუჟმორეულ ცხენს, მობრუნდება მხედართან შესახვედრად. თეკლა ბატონიშვილი კი ჯერ კიდევ თავდაუზოგავად მიაქროლებს ცხენს, თითქოს ღრუბლებზე დადისო. უეცრად თითქოს გამოფხიზლდაო მოზიდავს სადავეს, მოსხლეტით შეაჩერებს ბედაურს და ყალყზე შემდგარი მობრუნდება უკან. ძლივს გასარჩევ მანძილზე დაინახავს ორ მხედარს, რომელთაგანაც ერთი მისკენ წამოვა და მეორე კი მიაბრუნებს ცხენს და საბოლოოდ მიეფარება თვალს. „თეკლა ბიჭს“ კი მამის ნაცვლად შერჩება თავის კარის მსახური, რომელიც გადასცემს მამის დანაბარებს. „პირველობა შენთვის მიბოძებია ჯირითობაშიო, იმ საკითხზე კი ბოდიშს მოგახსენებ და რომ დავბრუნდები შემდეგ გავაგრძელოთ პაექრობაო“. ასევე მწუხარება გამოუთქვამს უეცარი წასვლის გამო და დიდი სიყვარული და ღოცვა შემოუთვლია. თეკლა ჩაფიქრებული აუყვება ჩორთით სასახლისკენ და შინ მისულს დახვდება ამბები მტრის შემოჭრისა. თვალზე ცრემლი მოადგება და ჩაილაპარაკებს, მშვიდობით დამიბრუნე მამაო.

ეს არის ჩემი წარმოსახვა, რომელიც ისტორიული ცნობების და ამ წერილის მეშვეობით თვალწინ დამიდგა, თუმცა უსასრულოდ შეიძლება გამიგრძელდეს ფიქრი და არ დავიღალო ამ დიდებული ადამიანების ცხოვრების წარმოსახვით. დასასრულს შემიძლია ვთქვა, რომ თუ ადამიანს გულში სიყვარული აქვს და დიდსულოვანია, ის ყოველთვის შეძლებს იყოს კარგი მამაცა და კარგი შვილიც, როგორებიც იყვნენ მეფე ერეკლე და თეკლა ბატონიშვილი.

ამიტომ მიმაჩნია რომ ერეკლე მეფის დაბადება დიდი ბედნიერება იყო საქართველოსთვის და საერთოდ სამყაროსთვის. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ხალხი დაუსრულებლად ეომებოდა მას, მე ვისურვებდი ახლა მქონოდა შესაძლებლობა დავბრუნებულიყავი წარსულში და მათთვის მომეყოლა ერეკლე მეფის შესახებ. მოვუთხოვდი მათ როგორი კეთილი და თბილი ადამიანი იყო ერეკლე მეფე და ემეგობრათ მასთან და მტრობა დაესრულებინათ. მიხარია რომ დღეს მეგობრულად ვცხოვრობთ და თუ ამას ერეკლე მეფეც დაინახავდა ვფიქრობ ძალიან ეამებოდა.

ავტორი-ალისულთანოვი ამინათი, ასაკი-14 წლის, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ სარუსოს საჯარო სკოლა. მე-9 კლასი. ტელეფონი-579 34 00 26

